

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი**

**თავი I**

**ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) (შემდგომში – თავშესაფარი) შინაგანაწესი (შემდგომში – შინაგანაწესი) აწესრიგებს თავშესაფრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრავს თავშესაფრის თანამშრომელთა და ბენეფიციართა უფლება-მოვალეობებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს.
2. თავშესაფარი შექმნილია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ შესაბამისად.
3. შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად თავშესაფრის თანამშრომლებისათვის, თავშესაფარში დროებით საცხოვრებლად განთავსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლ(ებ)ისათვის ან/და დაზარალებულ(ებ)ისათვის, რომელიც წარმოადგენს თავშესაფრის მკვიდრს (შემდგომში – ბენეფიციარი), ასევე იმ პირებისათვის, რომლებიც დროებით იმყოფებიან თავშესაფარში.
4. თავშესაფარს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) და თავშესაფრის დასახელება.
5. შინაგანაწესის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

**მუხლი 2. შინაგანაწესის მიზანი**

შინაგანაწესის მიზანია:

- ა) ხელი შეუწყოს თავშესაფრის ეფექტურ ფუნქციონირებას; შექმნას თავშესაფრის ბენეფიციართათვის ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი ატმოსფერო და ხელი შეუწყოს მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დაცვის ღონისძიებებს;
- ბ) შექმნას თავშესაფრის თანამშრომელთათვის უსაფრთხო და დაცული სამუშაო ატმოსფერო.

### **მუხლი 3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)**

1. თავშესაფარი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნილი მომსახურების დაწესებულება და წარმოადგენს ფონდის სტრუქტურულ ერთეულს.

2. თავშესაფარში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით, არასრულწლოვანი მსხვერპლის (მშობლის/მეურვის გარეშე) შემთხვევაში, ასევე, ამისათვის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. თავშესაფარში ცხოვრების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 თვემდე ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა მოხდეს ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის უფროსის მიერ ვადის გაგრძელება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ თავშესაფრის დატოვება შესაძლებელია აღნიშნული ვადის ამოწურვამდეც, მისი სურვილითა და გადაწყვეტილებით, ასევე შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5. თავშესაფრის მიზანია:

ა) ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბენეფიციარის გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას;

ბ) ბენეფიციართა უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

გ) ოჯახთან, ნათესავებთან და სხვა ახლობლებთან ბენეფიციარის კონტაქტების შენარჩუნება;

დ) ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ე) ბენეფიციართა ნიჭის, უნარისა და პოტენციალის გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

### **მუხლი 4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული**

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა.

2. დაზარალებული არის ოჯახის წევრი, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულად ცნობს სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო.

### **მუხლი 5. თავშესაფრის ხელმისაწვდომობა**

1. თავშესაფარში მიიღებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები/დაზარალებულები განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის,

ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

2. თავშესაფარში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული შეიძლება განთავსდეს მასზე დამოკიდებულ პირ(ებ)თან ერთად, ხოლო არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის №152/ნ – №496 – №45/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბავშვის ოჯახის წევრთან ერთად.

### **მუხლი 6. თავშესაფარში მიღების შეზღუდვები**

თავშესაფარში პირი არ მიიღება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ დადასტურდა, რომ არ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული;
- ბ) უშუალოდ მისგან არსებობს პოტენციური რისკი სხვა ბენეფიციარებისათვის;
- გ) ჰყავს სრულწლოვანი შვილ(ებ)ი, რომელიც არ არის ძალადობის მსხვერპლი და უარს აცხადებს მის გარეშე თავშესაფარში ცხოვრებაზე;
- დ) ჰყავს შინაური ცხოველ(ებ)ი/ფრინველ(ებ)ი (კატა, ძაღლი და სხვ.) და ითხოვს მასთან ერთად თავშესაფარში განთავსებას;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

## **თავი II**

### **თავშესაფრის მართვა**

### **მუხლი 7. თავშესაფრის ხელმძღვანელობა და მართვა**

- 1. თავშესაფარს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის დირექტორი.
- 2. თავშესაფარში ყოველთვის, დღეღამის განმავლობაში, უნდა იმყოფებოდეს სულ მცირე ერთი თანამშრომელი მაინც.

### **მუხლი 8. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები**

#### **1. უფროსი:**

- ა) ახორციელებს თავშესაფრის საერთო ხელმძღვანელობას, სამართლებრივ და საინფორმაციო უზრუნველყოფას და პასუხისმგებელია მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე;
- ბ) ხელმძღვანელობს თავშესაფრის თანამშრომლების საქმიანობას და ზედამხედველობს ბენეფიციართათვის გაწეულ მომსახურებას;
- გ) მიმწოდებლისაგან იღებს კვების პროდუქტებს, სამეურნეო საგნებსა და ინვენტარს;
- დ) წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებების გარდა ანაწილებს მოვალეობებს თავშესაფრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს,

ზედამხედველობას უწევს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

ე) ახორციელებს კონტროლს შემთხვევის მართვის გეგმ(ებ)ის შემუშავებასა და განხორციელებაზე;

ვ) ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ფონდის დირექტორთან შეთანხმებით;

ზ) ფონდის დირექტორის დავალებით წარუდგენს მას თავშესაფრის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და მისი განხორციელების წლიურ ანგარიშს;

თ) ვალდებულია უზრუნველყოს ბენეფიციარებისაგან მედიკამენტების უსაფრთხო განთავსება (მიუწვდომელი საცავის შექმნა);

ი) ზედამხედველობს კვების რაციონის შედგენასა და მის დაცვას;

კ) საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია, უზრუნველყოს ბენეფიციართა პოლიკლინიკაში აღრიცხვა;

ლ) უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული თანამშრომლების მორიგეობის გრაფიკის შედგენას და დაცვას;

მ) ახორციელებს კონტროლს თავშესაფრის, მისი თანამშრომლების და ბენეფიციართა უსაფრთხოებაზე;

ნ) უზრუნველყოფს თავშესაფარში არსებული პერსონალური მონაცემების (ინფორმაციის) შემცველი საბუთების კონფიდენციალურად დაცვას;

ო) აწყობს პერიოდულ თათბირს/შეხვედრას თავშესაფრის თანამშრომლებთან და ბენეფიციარებთან;

პ) ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებას ბენეფიციართან;

ჟ) ფონდის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს თავშესაფარში დასაქმებულ პირთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

რ) ხელს უწყობს უსაფრთხოების წესებისა და შინაგანაწესის დაცვას თავშესაფრის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირის მიერ;

ს) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება-მოვალეობებს;

ტ) ფონდის დირექტორის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

## **2. ფსიქოლოგი:**

ა) ახორციელებს ბენეფიციართა ემოციური, ქცევითი, კოგნიტური და სოციალური პრობლემების იდენტიფიკაციას, აკეთებს შეფასებას და ახორციელებს პრობლემების ანალიზს;

ბ) აგროვებს ინფორმაციას, აწარმოებს ჩანაწერებს, ატარებს ინტერვენციულ სამუშაოებს ბენეფიციარის ემოციური, ქცევითი, კოგნიტური და სოციალური პრობლემების დასაძლევად;

გ) ეხმარება ბენეფიციარებს სოციალურ ადაპტაციასა და ინტეგრაციაში;

დ) სისტემატურად უწევს კონსულტაციას და აძლევს რეკომენდაციას თავშესაფრის თანამშრომლებს ბენეფიციარების საჭიროებებიდან გამომდინარე;

ე) ახდენს წერის, კითხვის, კომუნიკაციური ინტერპერსონალური და სხვა უნარების შეფასებას ბენეფიციარის ასაკის შესაბამისად;

- ვ) ახორციელებს ბენეფიციარებთან ინდივიდუალურ მუშაობას, მონაწილეობს ბენეფიციართა შემთხვევის მართვის გეგმების შემუშავება-განხორციელების პროცესში;
- ზ) მუშაობს ბენეფიციართა თვითმოვლის პროცესში დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე და შესაფერისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- თ) აწყობს ინდივიდუალურ/ჯგუფურ შეხვედრებს (თერაპია) ბენეფიციარებთან, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლებთან და ბენეფიციარის ოჯახის წევრებთან;
- ი) საჭიროებიდან გამომდინარე აწყობს ჯგუფურ შეხვედრებს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით;
- კ) საჭიროებიდან გამომდინარე, დახმარებას უწევს თავშესაფრის თანამშრომლებს პროფესიული გადაწვის პროფილაქტიკის მიზნით;
- ლ) მუშაობს თანამშრომლებთან და ბენეფიციარებთან სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციის (არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად ასაკობრივი, რელიგიური, ეთნიკური, სოციალური, გენდერული და სხვა ნიშნით;
- მ) ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა, კერძოდ, არ გასცეს ბენეფიციარის პირადი ინფორმაცია ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე;
- ნ) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

### ***3.სოციალური მუშაკი:***

- ა) ხელს უწყობს ბენეფიციარებისათვის აუცილებელი სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მოძიებასა და შეგროვებას;
- ბ) ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, ამყარებს კონტაქტს მის ოჯახთან;
- გ) მონაწილეობას იღებს მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობაში და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს;
- დ) მონაწილეობას იღებს ბენეფიციარის მიღებისთვის ფონდის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტაციის შევსებაში;
- ე) მონაწილეობას იღებს ბენეფიციარის შემთხვევის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ვ) არასრულწლოვანი ბენეფიციარის შემთხვევაში, ხელს უწყობს მის ფორმალურ განათლებაში ჩართვას;
- ზ) საჭიროებიდან გამომდინარე აწყობს ჯგუფურ შეხვედრებს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით;
- თ) მუშაობს ბენეფიციართა თვითმოვლის პროცესში დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე და შესაფერისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- ი) ბენეფიციართა ასაკის გათვალისწინებით ხელს უწყობს მათ ჩართვას სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობაში, ასევე კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში;
- კ) ხელს უწყობს ბენეფიციართა დასაქმებას;
- ლ) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **4. იურისტი:**

- ა) ბენეფიციარებს უწევს ინდივიდუალურ სამართლებრივ კონსულტაციებს;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარს უწევს სასამართლო წარმომადგენლობას/ ადვოკატირებას;
- გ) ხელმძღვანელობს ცხელი ხაზის მუშაობას;
- დ) მონაწილეობას იღებს შემთხვევის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ე) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **5. ბუღალტერი:**

- ა) ახორციელებს კონტროლს საბუთების დროულად გაფორმებისა და შესრულებული ოპერაციების კანონიერებაზე;
- ბ) ამზადებს ყველა ბუღალტრულ საბუთს, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტისა და ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთანუსხების შესრულებასთან;
- გ) ადგენს ხარჯთაღრიცხვას;
- დ) უზრუნველყოფს ყოველდღიური მენიუს განფასებასა და შემოწმებას, საკვები პროდუქტების მოძრაობის აღრიცხვას;
- ე) ფონდის დირექტორის და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **6. მედა:**

- ა) თვალყურს ადევნებს თავშესაფარში არსებულ სანიტარულ მდგომარეობასა და ბენეფიციართა სისუფთავეს;
- ბ) უზრუნველყოფს შესაბამისი მენიუს მიხედვით ბენეფიციართათვის საკვების მომზადებას;
- გ) მონაწილეობას იღებს ბენეფიციარის მიღებისთვის ფონდის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტაციის შევსებაში;
- დ) კონტროლს უწევს ბენეფიციართა თავშესაფრიდან გასვლა-დაბრუნების აღრიცხვას;
- ე) ზედამხედველობს ბენეფიციარის მიერ ექიმის დანიშნული მედიკამენტებისა და პროცედურების სწორად გამოყენებასა და შესრულებას;
- ვ) პასუხისმგებელია სამედიცინო მოხმარების საგნების მოვლა-პატრონობაზე;
- ზ) ახორციელებს დილის შემოვლას;
- თ) თვალყურს ადევნებს ბენეფიციარების სწორი კვების მიმდინარეობას;
- ი) მონაწილეობას იღებს შემთხვევის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- კ) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **7. ძიძა:**

- ა) ეხმარება თავშესაფრის ბენეფიციარს არასრულწლოვანი დამოკიდებული პირების მოვლა-პატრონობაში;
- ბ) არასრულწლოვანი ბენეფიციარის შემთხვევაში, ახორციელებს მის მოვლა-პატრონობას;
- გ) თავშესაფრის ბენეფიციარის თავშესაფრიდან დროებით გასვლის შემთხვევაში, მისი არასრულწლოვანი დამოკიდებული პირ(ებ)ის მოვლა-პატრონობა ევალება ძიძას;

დ) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **8. დამხმარე მუშაკი:**

- ა) აწარმოებს თავშესაფრის შენობა-ნაგებობის, ინვენტარის მიმდინარე შეკეთებას;
- ბ) უზრუნველყოფს ელექტროგაყვანილობის, გათბობისა და წყალკანალიზაციის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;
- გ) ფონდის დირექტორის და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **9. დარაჯი:**

- ა) იცავს თავშესაფრის უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში (მათ შორის, ახორციელებს თავშესაფრის ტერიტორიაზე პერიოდულ შემოვლას);
- ბ) პასუხისმგებელია თავშესაფრის გარე კარების ყველა საკეტის მთლიანობაზე;
- გ) პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე;
- დ) ვალდებულია დაიცვას ბენეფიციართა და თანამშრომელთა უსაფრთხოება თავშესაფრის ტერიტორიაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საპატრულო პოლიციის გამოძახება;
- ე) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **10. მძღოლი:**

- ა) უზრუნველყოფს თავშესაფრის სატრანსპორტო საშუალების მოვლა-პატრონობას;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციის მოთხოვნის შესაბამისად, ვალდებულია გადაზიდოს ტვირთი დანიშნულების მიხედვით;
- გ) პასუხისმგებელია სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობის მეთვალყურეობაზე;
- დ) პასუხისმგებელია გამოყოფილი საწვავის ნორმატიულად დადგენილ ფარგლებში ხარჯვაზე;
- ე) საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის უფროსის ან სხვა უფლებამოსილი პირის დავალებით, უზრუნველყოფს ბენეფიციართა ტრანსპორტირებას;
- ვ) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### **მუხლი 9. თავშესაფრის მომსახურებები/სერვისები**

1. თავშესაფარი ბენეფიციარებს და მათზე დამოკიდებულ პირ(ებ)ს უზრუნველყოფს შემდეგი სახის უფასო 24-საათიანი, სადღეღამისო, მომსახურებით:

- ა) ნორმალური არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით;
- ბ) საკვებითა და ტანსაცმლით;
- გ) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით, შესაბამისი ბაზისური მედიკამენტებითა და მკურნალობით;

- დ) ფსიქოლოგიური დახმარებით (ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპია);
  - ე) იურიდიული დახმარებითა და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო წარმომადგენლობით;
  - ვ) ბენეფიციართათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – თარჯიმნის მომსახურებით;
  - ზ) ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამებში მონაწილეობით (ხელშეწყობა პროფესიული სწავლებასა და საგანმანათლებლო პროგრამებში, დასაქმებაში).
2. თავშესაფარში გათვალისწინებულია არასრულწლოვნის აღზრდისა და კვების სპეციფიკა და თავისებურებანი.

### **მუხლი 10. თავშესაფარში შესვლა/გასვლა**

1. თავშესაფარში შესვლა შეზღუდულია გარეშე პირებისათვის.
2. ნებართვის გარეშე თავშესაფარში შესვლის/გასვლის უფლება აქვს:
  - ა) თავშესაფარის თანამშრომლებს;
  - ბ) ბენეფიციარებს;
  - გ) ფონდის თანამშრომლებს;
  - დ) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს;
  - ე) განსაკუთრებულ შემთხვევაში: სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს.
3. თავშესაფარში შესვლა/გასვლა ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი პირების გარდა შეუძლიათ ნებართვის (ზეპირი ან წერილობითი) მქონე ადამიანებს. ნებართვას გასცემს ფონდის დირექტორი.
4. თავშესაფარის სტუმრებს არ შეიძლება მიეცეთ თავშესაფარის მისამართი. ისინი არ შეიძლება თავად მივიდნენ თავშესაფარში. მათი თავშესაფარში მიყვანის უფლება აქვს მხოლოდ ამისათვის უფლებამოსილ თანამშრომელს.

### **მუხლი 11. თავშესაფარში ბენეფიციარის მიღება და დოკუმენტაციის წარმოება**

1. თავშესაფარში ბენეფიციარის მიღებისას სავალდებულოა შემდეგი პროცედურების დაცვა:
  - ა) ბენეფიციართან გასაუბრება;
  - ბ) ბენეფიციარის თავშესაფარში განთავსება (ოთახის ჩვენება, თეთრეულის, სან-ჰიგიენის და სხვა აუცილებელი ნივთების მიწოდება);
  - გ) თავშესაფარში ცხოვრების პირობების, თავშესაფარის მომსახურებების და შინაგანაწესის გაცნობა, ხელშეკრულების დადება 72 საათის განმავლობაში.
2. თავშესაფარის ადმინისტრაცია ვალდებულია ბენეფიციარის პირადი საქმე აწარმოოს ფონდის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ფორმების მიხედვით, მათ შორის:
  - ა) ხელშეკრულება;
  - ბ) თავშესაფარში მიღების ანკეტა;
  - გ) ჯანმრთელობის ფორმა;
  - დ) ბავშვის ჯანმრთელობის ფორმა;
  - ე) თანხმობა ინფორმაციის გაცემის შესახებ;
  - ვ) შემთხვევის მართვის გეგმა/გეგმის გადასინჯვა;



- ზ) დოკუმენტები: მსხვერპლის სტატუსის/დაზარალებულად ცნობის დოკუმენტი; პირადობის მოწმობის ასლი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, სამედიცინო და იურიდიული სახის დოკუმენტები, ფიზიკური ძალადობის ამსახველი ფოტოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) სპეციალისტის – ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, იურისტის, ასევე მორიგის ჩანაწერები/ანგარიშები მათ მიერ ბენეფიციართან ჩატარებული მუშაობის შესახებ;
- ი) თავშესაფრის დატოვების ფორმა.

## **მუხლი 12. შემთხვევის მართვა**

1. თითოეული ბენეფიციარის შემთხვევის ეფექტური მართვისათვის მნიშვნელოვანია:
  - ა) ბენეფიციარის ინტერვიუება და მისი საჭიროებების შეფასება. საჭიროებები უნდა შეფასდეს თავშესაფარში მოთავსებიდან 10 დღის ვადაში;
  - ბ) ფსიქოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული, სოციალური მომსახურებების დაგეგმვა და უზრუნველყოფა;
  - გ) საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან დაკავშირება და მომსახურებების კოორდინაცია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული "შემთხვევის მართვა" ხორციელდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული "შემთხვევის მართვის გეგმის" და "შემთხვევის მართვის გეგმის გადასინჯვის" ფორმების მიხედვით.

## **თავი III**

### **თავშესაფრის ბენეფიციარის უფლება-მოვალეობები**

## **მუხლი 13. თავშესაფარში ცხოვრების ნებაყოფლობითობა**

1. თავშესაფარში ბენეფიციარის გაჩერება შეიძლება მხოლოდ მისი თავისუფალი და გათვითცნობიერებული ნების არსებობის შემთხვევაში. ბენეფიციარს უფლება აქვს უარი განაცხადოს თავშესაფრის მომსახურებაზე ნებისმიერ დროს, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თავშესაფრის ბენეფიციარს უფლება აქვს ისარგებლოს თავშესაფარში არსებული მომსახურებებით. ასევე:
  - ა) ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ;
  - ბ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
  - გ) დაცული იყოს ყველა ფორმის ძალადობისგან;
  - დ) გააჩნდეს სოციალური მუშაკის საკონტაქტო ინფორმაცია;
  - ე) განავითაროს თავისი აკადემიური, სოციალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევები.
2. თავშესაფრის ბენეფიციარს უფლება აქვს თავშესაფარში შეიტანოს მხოლოდ პირველადი საჭიროების ნივთები და ტანსაცმელი.

## **მუხლი 14. კვება თავშესაფარში**

1. თავშესაფრის ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს თავშესაფარში მისთვის გამოყოფილი საკვები, მომზადებული და წინასწარ შემუშავებული მენიუს შესაბამისად.

2. კვება უზრუნველყოფილია თავშესაფრის მიერ და წარმოდგენილია დღეში ოთხჯერადი კვების სისტემით.
3. საჭმელი მზადდება თავშესაფრის სასადილოში.
4. გამზადებული საჭმელი უნდა ინახებოდეს მხოლოდ სამზარეულოში.
5. კვება ხდება მხოლოდ სამზარეულოში/სასადილო ოთახში.
6. ბენეფიციარს უფლება აქვს, მასზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირებისათვის, საკუთარი სახსრებით თავად მოამზადოს საჭმელი. ბენეფიციარის მიერ საჭმლის მომზადების შემთხვევაში, აუცილებელია მის მიერვე იქნეს მოწესრიგებული (დასუფთავება-დალაგება) სამზარეულო საჭმლის მომზადების შემდეგ.
7. ბენეფიციარმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს თავშესაფრის ადმინისტრაცია, თუ იმყოფება სპეციალურ დიეტაზე ან არის ალერგიული.

### **მუხლი 15. გასართობი ღონისძიებები**

ბენეფიციარს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სოციალურ, კულტურულ, გამაჯანსაღებელ-სარეკრეაციო, საგანმანათლებლო და სხვა ხასიათის დამხმარე აქტივობებში, ასევე, ისარგებლოს ბიბლიოთეკით. თავშესაფარში მოწყობილ რეკრეაციულ (გასართობ) ღონისძიებებში ბენეფიციარის მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

### **მუხლი 16. პრეტენზიები და საჩივრები**

1. თუ ბენეფიციარი მიიჩნევს, რომ მისი უფლებები ირღვევა, მას უფლება აქვს წერილობით ან ზეპირი ფორმით მიმართოს თავშესაფრის უფროსს ან/და მოითხოვოს მასთან შეხვედრა. მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
2. თუ ბენეფიციარი მიიჩნევს, რომ თავშესაფრის ადმინისტრაცია უსამართლოდ ექცევა, მას უფლება აქვს, წერილობით ან ზეპირი ფორმით მოითხოვოს შეხვედრა ფონდის დირექტორთან ან დირექტორის მიერ ამისთვის უფლებამოსილ პირთან.
3. ბენეფიციარს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ფონდის დირექტორის, ფონდის სხვა თანამშრომლის, თავშესაფრის უფროსისა და თავშესაფრის სხვა თანამშრომლის არამართლზომიერი ქმედებები.

### **მუხლი 17. უსაფრთხოება, კონფიდენციალურობა**

1. ბენეფიციარი ვალდებულია, კონფიდენციალურად შეინახოს თავშესაფრის ადგილმდებარეობა და მასში გატარებული აქტივობები, სხვა ბენეფიციართა ვინაობა.
2. ბენეფიციარი ვალდებულია, დაიცვას და გაუფრთხილდეს თავშესაფრის ქონებას.

### **მუხლი 18. ურთიერთპატივისცემა**

1. თავშესაფარში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ბენეფიციარი ვალდებულია, დაემორჩილოს უფროსისა და თავშესაფრის ადმინისტრაციის კანონიერ მითითებებს, პატივი სცეს თავშესაფრის პერსონალსა და სხვა ბენეფიციარებს.

2. ბენეფიციარი ვალდებულია, დაიცვას პირადი ჰიგიენა და ქცევის წესები, პატივი სცეს საკუთარ და გარშემომყოფთა ღირსებას, არ გამოიყენოს უცენზურო სიტყვები, არ აიღოს ნებართვის გარეშე სხვისი ნივთები, გამოეხმაუროს თხოვნას დახმარების შესახებ.

### **მუხლი 19. ბავშვზე/არასრულწლოვანზე ზრუნვა**

1. ბენეფიციარი პასუხისმგებელია საკუთარი ბავშვ(ებ)ის ზედამხედველობაზე/მეთვალყურეობაზე დღეღამის განმავლობაში.

2. ბენეფიციარი პასუხისმგებელია ბავშვ(ებ)ის ზედამხედველობაზე/მეთვალყურეობაზე დროის ყველა მონაკვეთში, თავშესაფრის ნებისმიერ ოთახში, ერთად ან ცალკე ყოფნის მიუხედავად.

3. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი დასაქმებულია ან/და საჭიროებს პირადი მიზეზების გამო თავშესაფრის დროებით დატოვებას (სამუშაო დღეებში 9 საათიდან 18 საათამდე), მასზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირ(ებ)ის/ბავშვ(ებ)ის მოვლა-პატრონობა ევალება მიძას.

### **მუხლი 20. დალაგება/დასუფთავება**

ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) დააღაგოს და დაასუფთაოს თავისი ოთახი;

ბ) თავისი ბავშვ(ებ)ის თამაშის/გართობის დასრულების შემდეგ მოაწესრიგოს საერთო ოთახი/კუთხე;

გ) აბაზანის გამოყენების შემდეგ დაასუფთავოს იგი;

დ) დაასუფთავოს/დააღაგოს სასადილო ოთახი ჭამის შემდეგ; თუ სამზარეულოში თავად მოამზადებს სადილს, მას ეკისრება პასუხისმგებლობა სადილის მომზადების შემდეგ სამზარეულოს დალაგება-დასუფთავებისაც.

### **მუხლი 21. სიჩუმის/სიმშვიდის საათები**

1. თავშესაფარში სიჩუმის/სიმშვიდის საათებია 23 საათიდან დილის 7 საათამდე.

2. აღნიშნულ საათებში ბენეფიციარმა არ უნდა იხმაუროს, არ უნდა მოუსმინოს მუსიკას იმ ხმაზე, რომ ისმინებოდეს ოთახის კედლებს გარეთაც. არ უნდა ჩართოს ტელევიზორი და არ უნდა ისაუბროს ტელეფონით იმ ხმაზე, რომ დაირღვეს სხვა ბენეფიციართა მყუდროება და სიმშვიდე.

### **მუხლი 22. თავშესაფრიდან დროებით გასვლა-დაბრუნების აღრიცხვა**

1. თავშესაფარში თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებულია სპეციალურ ჩანაწერთა წიგნი, რომელშიც აღირიცხება თავშესაფრის ბენეფიციართა თავშესაფრიდან დროებით გასვლა/დაბრუნება.

2. თავშესაფრის ბენეფიციარი ვალდებულია თავშესარიდან დროებით გასვლისას შეავსოს ჩანაწერთა წიგნი, რომელშიც აღირიცხება:

ა) სახელი, გვარი;

ბ) თავშესაფრიდან გასვლის ზუსტი დრო;

გ) თავშესაფარში დაბრუნების სავარაუდო დრო;

- დ) თავშესაფრიდან გასვლის მიზანი/მოტივი;
- ე) საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონი, მისამართი და სხვ.);
- ვ) ხელმოწერა.

3. თუ ბენეფიციარი რამდენიმე დღით ტოვებს თავშესაფარს, ვალდებულია აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს თავშესაფრის უფროსს და მიუთითოს წასვლის მიზეზი/მიზანი და იმ ადგილის სრული საკონტაქტო მონაცემები, სადაც მიდის/მიემგზავრება.

### **მუხლი 23. კატეგორიული აკრძალვები**

ბენეფიციარს ეკრძალება:

- ა) თამბაქოს მოწევა გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;
- ბ) ალკოჰოლისა და ნარკოტიკების შემცველი საშუალებების მიღება;
- გ) ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გამოყენება თავშესაფარში;
- დ) სოციალურად საშიში დაავადებების დამალვა;
- ე) სტუმრების მიღება თავშესაფარში;
- ვ) თავშესაფარში ცხოველის/ფრინველის (მათ შორის შინაურის) მოყვანა;

## **თავი IV**

### **პასუხისმგებლობა შინაგანაწესის დარღვევისათვის**

#### **მუხლი 24. დისციპლინური პასუხისმგებლობა და მისი სახეები**

1. თავშესაფრის თანამშრომელთა მიერ წინამდებარე შინაგანაწესის დარღვევა იწვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებია:

- ა) შენიშვნა;
- ბ) გაფრთხილება;
- გ) საყვედური;
- დ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება, რაც ჯამში არ უნდა აღემატებოდეს თვიური სარგოს 50%-ს;
- ე) სამსახურიდან განთავისუფლება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება ხდება ფონდის დირექტორის ბრძანებით.

4. თავშესაფრის ბენეფიციარის მიერ წინამდებარე შინაგანაწესის დარღვევა იწვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომლის სახეებია:

- ა) შენიშვნა;
- ბ) გაფრთხილება;
- გ) სასტიკი საყვედური;
- დ) თავშესაფრის დატოვება.

5. დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების პირობებს წარმოადგენს წინამდებარე შინაგანაწესით გაწერილი თავშესაფრის ბენეფიციართა უფლება-მოვალეობათა დარღვევა, როგორც ერთჯერადად, ასევე არაერთგზის/განმეორებით შემთხვევებში.

6. თავშესაფრის უფროსს უფლება აქვს ბენეფიციარს შინაგანაწესის დარღვევისათვის დაუყოვნებლივ მოსთხოვოს თავშესაფრის დატოვება და არ გამოიყენოს შინაგანაწესის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები თუ:

ა) დადგინდება, რომ ბენეფიციარი მიმართავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას სხვა ბენეფიციარის ან თანამშრომლის მიმართ;

ბ) დადგინდება მის მიერ ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის, როგორც შემოტანა, შენახვა, მოხმარება ასევე, მცდელობა;

გ) დადგინდება მის მიერ ნარკოტიკული ან/და ალკოჰოლური ნივთიერებების, როგორც შემოტანა, შენახვა, მოხმარება, ასევე, მცდელობა.

## **თავი V** **დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 25. თავშესაფრის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია**

თავშესაფარი საქმიანობას წყვეტს ფონდის დირექტორის ბრძანებით რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველზე.

### **მუხლი 26. დასკვნითი დებულებები**

წინამდებარე შინაგანაწესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ფონდის დირექტორის ბრძანებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.